

განმარტებითი ბარათი  
„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“  
საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“  
საქართველოს კანონის მიმართ

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი კანონპროექტი წარმოადგენს „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის თანმხლებ პროექტს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანია აღმოიფხვრას რეზერვში აღრიცხვის მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზები და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტთან „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას ახორციელებენ „რაიონის, ქალაქის (რაიონული დაყოფის გარეშე) სამობილიზაციო განყოფილებები“, წარმოდგენილი პროექტით მოქალაქეთა სამხედრო აღრიცხვაზე აყვანას განახორციელებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს შესაბამისი სამსახურები მოქალაქის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი ფინანსური უზრუნველყოფის საკითხები შესაბამისობაში მოდის მოქმედი კანონმდებლობით.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას;

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:  
ფინანსურ შედეგებს არ გამოიწვევს;

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):  
კანონპროექტი არ ითვალისწინებს ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადის შემოღებას;

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის ღირეპტივებთან:  
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირეპტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს;

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
არ მონაწილეობენ;

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:  
ასეთი შეფასებები კანონპროექტს არ გააჩნია;

დ.გ) კანონპროექტის ავტორი:

პარლამენტის წევრები: სამსონ ქუთათელაძე, ლაშა თორდია, ზვიად კუკავა;

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი:

პარლამენტის წევრები: სამსონ ქუთათელაძე, ლაშა თორდია, ზვიად კუკავა.